ოქმი:**ო08.37220951**

თარიღი:**05/04/2022**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 მარტი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე, გ. შარაშენიძე, ბ. კილაძე, დ. მდინარაძე, პ. კიღურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დ.ჭაკნელიძემ მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით ადრე არსებულ წესში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უფრო ქმედითს და მოცულობითს ხდის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ სოციალურ დახმარებებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი

ორივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი